პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 36 (9812) | პარასკევი, 12 თებერვალი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

ორგანიზაციულ-ტექნიკური მზადება არჩევნებისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება მშრომელთა უმაგალითო პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს. საარჩევნო კამპანიის ყველა ეტაპზე მკაფიოდ ვლინდება საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ცხოველმყოფელობა, საბჭოთა ხალხის მზადყოფნა — მთელი ძალები მოახმარონ დიადი მიზნის — კომუნიზმის გამარჯვების საქმეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ამომრჩევლებისადმი, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა გაზეთებში, საბჭოთა ხალხი აღფრთოვანებით და მხურვალე მოწონებით შეხვდა. ეს მიმართვა მშრომელებმა სახელმძღვანელოდ მიიღეს, მტკიცედ გადაწყვიტეს — გაამართლონ პარტიის იმედი, ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს, ამით კვლავ და კვლავ გამოხატონ თავიანთი უსაზღვრო ნდობა და ერთგულება მშობლიური პარტიისადმი, რომელსაც მთელი ჩვენი ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავს და რომლის მთელი მოღვაწეობა ხალხისადმი უანგარო სამსახურის ბრწყინვალე მაგალითია.

სულ უფრო და უფრო ძლიერდება მზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ათასობით აგიტატორი მართავს საუბრებს არჩევნების დებულებაზე, მშრომელებს განუმარტავს მათს უფლება-მოვალეობას, საბჭოთა კონსტიტუციის დიად დემოკრატიულ პრინციპებს, ეწყობა ლექციები და მოხსენებები კომუნისტური პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული შესანიშნავი ტრადიციის მიხედვით საბჭოთა ადამიანები ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არჩევნებისათვის მზადებას ახალი საწარმოო აღმავლობით აღნიშნავენ, უფრო ფართოდ აჩაღებენ ბრძოლას სოციალისტური მშენებლობის ფრონტებზე მორიგ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ახლა, როცა უკვე რეგისტრირებულია დეპუტატობის კანდიდატები, ამომრჩეველთა შორის პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარეების მოგვარება, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არჩევნების წარმატებისათვის.

ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების მთელი კომპლექსიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა სიების შედგენა. არჩევნების დებულების მიხედვით ამომრჩეველთა სიები არჩევნებამდე ერთი თვით ადრე უნდა გამოიკრას საყოველთაო ცნობისათვის. ამ ვადამდე ორი დღე-ღა დარჩა. ეს დღეები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. სიაში არ უნდა გამორჩეს არც ერთი ამომრჩეველი, ამასთან მათი ვინაობა ზუსტად, შეუცდომლად უნდა იყოს შეტანილი ამ სიებში. წინა არჩევნების შემდეგ როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ისე ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: გაჩნდნენ ახალი დასახლებული პუნქტები, სოფლები, ქალაქებში მოეწყო ახალი ქუჩები. ეს მომენტი ადგილობრივი საბჭოების განსაკუთრებულ ყურადღებასა და სიზუსტეს მოითხოვს, კერძოდ ამომრჩეველთა სიების შედგენის დროს. ამომრჩეველთა სიებში შემჩნეული შეცდომები დაუყოვნებლივ უნდა გამოასწორონ საბჭოების აღმასკომებმა.

არჩევნების ბედი საარჩევნო უბნებში წყდება. ამომრჩევლები სწორედ აქ ახორციელებენ თავიანთ მაღალ მოქალაქეობრივ უფლებას. ამიტომ მუშაობის სიმძიმის ცენტრი ახლა საარჩევნო უბნებში უნდა გადავიტანოთ. საარჩევნო უბნებისათვის ბინების შერჩევას, მათ მოწყობას, დროულად უზრუნველყოფას საარჩევნო ლიტერატურით მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ საბჭოების აღმასკომები.

ბევრგან საარჩევნო უბნებისათვის შესაფერი ბინებია გამონახული, მაგრამ ასე როდია ყველგან. ზოგან საარჩევნო უბნისთვის გამოყოფილი შენობები მოუწყობელია, ისინი უზრუნველყოფილი არ არიან სატელეფონო კავშირით.

არანაკლებ ყურადღებას მოითხოვს აგიტპუნქტების მოწყობა. აგიტპუნქტებში ყოველდღიურად მრავალი ამომრჩეველი იყრის თავს. ამიტომ პუნქტები მიმზიდველად უნდა იყოს გაფორმებული და მომარაგებული საჭირო ლიტერატურით, ახალი ჟურნალ-გაზეთებით, კულტურული გასართობებით. აგიტპუნქტში მისულმა ამომრჩეველმა აუცილებლად უნდა მიიღოს საჭირო პასუხი მისთვის საინტერესო ყველა საკითხზე, ამასთან საშუალება უნდა ჰქონდეს წაიკითხოს ახალი ჟურნალ-გაზეთები, კულტურულად გაერთოს. პარტიული ორგანიზაციები და საბჭოების აღმასკომები შეუძლებელია დაკმაყოფილდნენ საკითხის ფორმალური მხარით. აგიტპუნქტების მუშაობის შინაარსი — აი რა უნდა აინტერესებდეთ და რისთვის უნდა ზრუნავდნენ ისინი.

ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არჩევნები უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა. ამიტომ საარჩევნო კამპანიაში ერთი შეხედვით წვრილმანსაც კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საარჩევნო უბნებისა და აგიტპუნქტების განათება-გათბობა, მათი უზრუნველყოფა კავშირგაბმულობის საშუალებებით, საარჩევნო დოკუმენტების დროული განაწილება ისეთი „წვრილმანებია“, რომლებზეც დიდად არის დამოკიდებული მთელი საარჩევნო კამპანიის წარმატებით მოწყობა. ამ საკითხების გადაუდებლად მოგვარება, საარჩევნო უბნებისა და აგიტპუნქტებისათვის ნორმალური მუშაობის პირობების შექმნა ადგილობრივ საბჭოებს ევალებათ.

არჩევნებისათვის მზადებაში, ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების მოგვარებაში საბჭოებმა, საარჩევნო კომისიებმა ფართოდ უნდა ჩააბან არა მარტო დეპუტატები, არამედ ადგილობრივი აქტივიც. მშრომელთა რაც უფრო ფართო ფენები ჩაებმებიან საარჩევნო კამპანიაში, მით უფრო მაღალი იქნება არჩევნებისათვის მზადების დონე, მით უფრო წარმატებით ჩატარდება თვით არჩევნები.

„სრული იმედი აქვს რა, რომ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში ერთსულოვნად იქნებიან არჩეული კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატები, რომ ამომრჩევლებს ესმით პარტიის პოლიტიკა და იწონებენ მას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა ამომრჩეველს — მუშებს, გლეხებს, საბჭოთა ინტელიგენციას, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს — კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის საბრძოლველად“ — ნათქვამია კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ამომრჩევლებისადმი.

საქართველოს მშრომელები მშობლიური პარტიის მიმართვის პასუხად უფრო მჭიდროდ დარაზმავენ თავიანთ ძალებს სოციალისტური მშენებლობის მორიგი ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, არჩევნების დღეს კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატების ხმის მიცემით კვლავ ცხადჰყოფენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას კომუნისტური პარტიისადმი, კომუნიზმის საქმისადმი.

საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა გაიხსნება 16 თებერვალს დილის 11 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სახლი).

დელეგატების რეგისტრაცია წარმოებს ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში (შიო ჩიტაძის ქუჩა № 2).

ტელეფონი: 3-63-68, 3-90-24, 3-06-03, 3-60-24.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა სრულიად რუსეთის თათბირი, მოწვეული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს მიერ

11 თებერვალს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიხსნა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა სრულიად რუსეთის თათბირი, რომელიც მოიწვიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ. რუსეთის ფედერაციის ყოველი კუთხიდან ჩამოვიდნენ დედაქალაქში საკოლმეურნეო სოფლის საუკეთესო ადამიანები, სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სახელგანთქმული ოსტატები, რათა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად ყოველმხრივ განიხილონ ჩვენი ქვეყნის უდიდესი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საარსებო საკითხები.

დილის 10 საათია. კრემლის დიდი სასახლის სხდომის დარბაზი ხალხით სავსეა. პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, მ. ზ. საბუროვი, მ. გ. პერვუხინი, ნ. მ. შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ნ. ნ. შატალინი**, რომლებსაც თათბირის მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. ყველანი ფეხზე დგებიან.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები **ფ. ს. გენერალოვი** — სოციალისტური შრომის გმირი, მოსკოვის ოლქის ლუხოვიცის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **პ. ა. პროზოროვი** — სოციალისტური შრომის გმირი, კიროვის ოლქის ვოჟგალის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ თავმჯდომარე, **ს. კ. კოროტკოვი** — სოციალისტური შრომის გმირი, ჩუვაშეთის ასსრ ვურნარის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ა. კ. კარტავაია** — სოციალისტური შრომის გმირი, კემეროვოს ოლქის მარიინსკის რაიონის კოლმეურნეობა „კავშირის“ მერგოლური, **ნ. ვ. ლიაშენკო** — სოციალისტური შრომის გმირი, ვორონეჟის ოლქის პავლოვსკის რაიონის პავლოვო-დონსკოის მტს-ის კომბაინერი, **მ. ი. კიტაევი** — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სარატოვის ოლქის ნოვოუზენსკის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე და სხვები.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ა. მ. პუზანოვი**, ხსნის რა თათბირს, აცხადებს, რომ მის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 2.317 კაცი, მათ შორის 506 კოლმეურნეობის თავმჯდომარე, 475 მეცხოველეობისა და მემინდვრეობის მოწინავე, 300-მდე სატრაქტორო და მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირი, ტრაქტორისტი და კომბაინერი, კოლმეურნეობათა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები, მტს-ების, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკები, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეები.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრს ამხ. **პ. პ. ლობანოვს**.

— სოფლის მეურნეობის მშრომელნი, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, — ამბობს ამხ. ლობანოვი, — უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმის განუყოფელი ნაწილია და შეესაბამება ჩვენი ხალხის ყველაზე სასიცოცხლო და საარსებო ინტერესებს. ეს გადაწყვეტილებანი აღაფრთოვანებენ საბჭოთა ხალხს ახალი შრომითი გმირობისათვის, კიდევ უფრო აძლიერებენ მილიონობით მუშის, კოლმეურნისა და ინტელიგენტის შემოქმედებითს აქტივობას და ინიციატივას.

სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის გეგმის განხორციელებაში დიდი მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის რუსეთის ფედერაციას. მის ტერიტორიაზეა საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნეობის ნახევარზე მეტი და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების 62 პროცენტი. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში თავმოყრილია თითქმის ორიმესამედი ნათესი ფართობი და პროდუქტიული პირუტყვის მთელი სულადობის ნახევარზე მეტი. სოფლის მეურნეობა შეიარაღებულია პირველხარისხოვანი ტექნიკით. მისი შემდგომი განვითარებისათვის მარტო 1954 წელს გათვალისწინებულია ბიუჯეტით დაიხარჯოს 25,5 მილიარდი მანეთი — ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1953 წელს.

პარტიამ გამოზარდა კოლმეურნეობებისა და მტს-ების ხელმძღვანელთა, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ოსტატთა გამოცდილი კადრები. რუსეთის ფედერაციის კოლმეურნეობებსა და მტს-ებში მუშაობს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა 100-ათასიანი არმია, რომლებიც შრომაში წარმატებებისათვის დაჯილდოებული არიან მთავრობის მაღალი ჯილდოებით.

მომხსენებელი კონკრეტული მაგალითებით ცხადყოფს, თუ რა დიდი რეზერვები მოეპოვება სოფლის მეურნეობას. ჩუვაშეთის ასსრ ვურნარის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც მეთაურობს სოციალისტური შრომის გმირი ამხ. კოროტკოვი, ყოველ ჰექტარ ნახნავზე მეზობელ მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობასთან შედარებით მიიღო: მარცვალი — 2,7-ჯერ მეტი, კარტოფილი — 7,9-ჯერ, რძე ნახნავის, მდელოებისა და საძოვრების თანაბარ ფართობზე — 2,5-ჯერ, ხორცი — 3,8-ჯერ მეტი. ფულადი შემოსავალი მოწინავე კოლმეურნეობაში 6,4-ჯერ მეტია, ვიდრე ჩამორჩენილში. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ძალას შეადგენს, უწინარეს ყოვლისა, კოლმეურნეთა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების სწორად შეხამება, მათი მაღალი შრომითი აქტივობა, მეურნეობის უნარიანი ხელმძღვანელობა, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გაბედულად და ფართოდ დანერგვა წარმოებაში.

ეხება რა სოფლის მეურნეობის განვითარებას მიმდინარე წელს, მომხსენებელი ამბობს, რომ რუსეთის სფსრ კოლმეურნეობებში შარშანდელთან შედარებით გათვალისწინებულია მოიყვანონ ერთნახევარჯერ და უფრო მეტი მარცვალი, თითქმის ორჯერ მეტი კარტოფილი, ორნახევარჯერ მეტი ბოსტნეული, დაამზადონ თითქმის 1,8-ჯერ მეტი სელის ბოჭკო, 80 პროცენტით მეტი რძე, 36 პროცენტით მეტი მატყლი.

მარცვლის წარმოება უნდა გაიზარდოს არა მარტო მოსავლიანობის გადიდებით, არამედ აგრეთვე ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებით.

ლაპარაკობს რა მეცხოველეობის განვითარებაზე, ამხ. ლობანოვი აღნიშნავს, რომ საჭიროა წარმატებით განხორციელდეს პირუტყვის გამოზამთრება, გაძლიერდეს ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციის სამუშაოები და შეიქმნას საკვები ბაზა.

ამხ. ლობანოვი აღნიშნავს, რომ რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი ორგანოები ადგილებზე ჯერ კიდევ ნელი ტემპით გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას. სამინისტროს აპარატში და საოლქო სამმართველოებში არ არის აღმოფხვრილი კანცელარული ხელმძღვანელობის ელემენტები.

დასასრულ მომხსენებელი ამბობს, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება იმ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს სოფლის მეურნეობას.

სიტყვა ეძლევა მოსკოვის ოლქის სტალინის სახელობის მოწინავე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, სოციალისტური შრომის გმირს ამხ. **გენერალოვს**.

იმისათვის, რომ სავსებით დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება ხორცისა და რძის პროდუქტებზე, ამბობს იგი, თვითეულ კოლმეურნეობას 100 ჰექტარ ნახნავზე, მდელოებსა და საძოვრებზე უნდა ჰყავდეს 20 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 10 ძროხა 2.500-2.600 კილოგრამი საშუალო წველადობით, უნდა მიიღოს 260 ცენტნერი რძე, 27 ცენტნერი ხორცი და სხვ. ასრულებს რა პლენუმის გადაწყვეტილებებს, კოლმეურნეობას ყოველ ას ჰექტარ ნახნავზე, მდელოებსა და საძოვრებზე უკვე დღეს ჰყავს 55 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 28 ძროხა. თვითეულ ძროხაზე მიღებულია 4.373 ლიტრი რძე. იზრდება აგრეთვე ცხვრის, ღორისა და ფრინველის სულადობა. ამრიგად, ჩვენმა კოლმეურნეობამ ჯერ კიდევ 1953 წელს ორჯერ-ორნახევარჯერ გადააჭარბა მეცხოველეობის განვითარების იმ დონეს, რომელიც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში.

ამხ. გენერალოვმა დამსწრეთ უამბო, თუ რა გზით მიაღწია კოლმეურნეობამ ასეთ წარმატებებს. კოლმეურნეობაში შემოღებულია სათიბებისა და საძოვრების თესლბრუნვა, მდელოებს სისტემატურად ანოყიერებენ ნაკელით და მინერალური სასუქით. უხეში საკვების გარდა, კოლმეურნეობა ყოველწლიურად იღებს ძირხვენების კარგ მოსავალს, დებს სილოსს. საკვების მრავალფეროვანება საშუალებას აძლევს კოლმეურნეობას შეადგინოს ყველაზე სრულფასოვანი რაციონები, რაც ხელს უწყობს პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებას. დიდი ყურადღება ექცევა მეცხოველეობის სადგომების მშენებლობას და ფერმებში შრომის მექანიზაციას, მოწინავეთა გამოცდილების გადაცემას ყველა მეცხოველისათვის. კოლმეურნეთა უმრავლესობა 10-20 წელი მუშაობს ფერმებში. მათგან რვას მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. კოლმეურნეობის ფერმაში მომუშავე 40 მწველავიდან არ არის არც ერთი, რომელიც თითო ძროხაზე ოთხ ათას ლიტრზე ნაკლებ რძეს იღებდეს. კლავდია მიხეილის ასულმა ლოშჩინოვამ ფერმაში 20 წლის მუშაობისას მოწველა ერთ მილიონ ლიტრზე მეტი რძე. ამჟამად თითო ძროხის საშუალო წლიური წველადობა მის ბრიგადაში შეადგენს 6.400 ლიტრ რძეს.

ვორონეჟის ოლქის პანინოს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. **ჩერნიხმა** დამსწრეთ უამბო, თუ როგორ იბრძვის მისი რგოლი შაქრის ჭარხლის მოსავლის გადიდებისათვის. რგოლმა გადაწყვიტა მიმდინარე წელს ჰექტარზე მიიღოს 600 ცენტნერი ჭარხალი და უკვე ახლა ენერგიულად ცდილობს შეასრულოს ეს ვალდებულება.

ამხ. ჩერნიხმა მთელი რიგი პრეტენზიები გამოთქვა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ, რომელმაც ვერ გამოიჩინა საკმაო მზრუნველობა ისეთი სამუშაოების მექანიზაციისათვის, როგორიცაა მწკრივთაშორის გამოკვება და მინერალური სასუქის შეტანა.

სტავროპოლის მხარის ნოვო-ალექსანდროვსკაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ლისკინმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ [illegible] ნეები [illegible] სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. უკანასკნელ სამ წელიწადში კოლმეურნეობამ ერთიექვსად გაადიდა საკვები კულტურების ფართობი და ამავე დროს ერთიორად გაზარდა მარცვლეულისა და მზესუმზირას წარმოება.

— ჩვენ მიგვაჩნია, — ამბობს ამხ. ლისკინი, — რომ ჩვენს კოლმეურნეობაში, აგრეთვე ჩვენი მხარის სხვა მეურნეობებშიც, იმ ტექნიკის არსებობისას, რომლითაც სამშობლო გვამარაგებს და აგროტექნიკის ახლანდელი დონისას შემოდგომის ანეული დრომოჭმულად უნდა ჩაითვალოს და ადგილი უნდა დაუთმოს მოთესილ ანეულსა და ნახევრადანეულს. მარტო ჩვენს კოლმეურნეობას 1954 წელს დამატებით ექნება საკვები კულტურების 4 ათასი ჰექტარი მოთესილი ანეული, ნაწვერალი და საფარქვეშა ნათესები.

კოლმეურნეობა დიდ ყურადღებას აქცევს ბალჩეული კულტურების ნათესებს, კერძოდ გოგრის ნათესებს, რომელიც კარგი საკვები პროდუქტია.

ამხ. ლისკინი ლაპარაკობს სათოხნი კულტურების თესვისა და რგვის კვადრატულ-ბუდობრივი წესის მნიშვნელობაზე. 3 ათას ჰექტარზე ამ პროგრესული ხერხის გამოყენებამ 1953 წელს შესაძლებელი გახადა კარგი მოსავალი მიეღოთ და დაეზოგათ 36 ათასი კაცდღე.

მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებამ და საკვები ბაზის გაუმჯობესებამ შესაძლებლობა მისცა კოლმეურნეობას 1953 წელს მიეღო 972 ათასი ფუთი მარცვალი ნაცვლად 520 ათასისა 1950 წელს, 1 მილიონ 112 ათასი ლიტრი რძე ნაცვლად 323 ათასი ლიტრისა და 1 მილიონი კვერცხი ნაცვლად 280 ათასისა 1950 წელს. კოლმეურნეობის განუყოფელმა ფონდმა გასულ წელს შეადგინა 7 მილიონი მანეთი.

ამხ. ლისკინი სერიოზულ პრეტენზიებს უყენებს მხარის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს. ამ დაწესებულებათა მეტი ნაწილი მდებარეობს საკურორტო ქალაქებში და სუსტად არის დაკავშირებული კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან, ისინი თავის მეცნიერულ მუშაობას ეწევიან მცირე ნაკვეთებზე, მაშინ როცა საკოლმეურნეო მეურნეობებს ათასობით ჰექტარი აქვთ.

ივანოვოს ოლქის შუის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის უფროსი აგრონომი ამხ. **მოჟაევი** ამბობს, რომ კოლმეურნეობას აქვს მებოსტნეობის განვითარების დიდი შესაძლებლობა. განიხილეს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, კოლმეურნეებმა შეადგინეს თავიანთი მეურნეობის განვითარების უახლოესი 2-3 წლის ვრცელი პროგრამა. მათ იკისრეს ვალდებულება 1955 წელს ჰექტარზე მოიყვანონ 400 ცენტნერი ბოსტნეული, გაადიდონ ძროხის წველადობა 3.000 ლიტრამდე, გაზარდონ მარცვლეულის მოსავლიანობა 25 ცენტნერამდე.

ახლა მიმდინარეობს ენერგიული მზადება 1954 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის. მომზადებულია დაახლოებით 3.000 სასათბურე ჩარჩო. კოლმეურნეობა მთლიანად უზრუნველყოფილია ჯიშიანი თესლით. კოლმეურნეებს, აცხადებს ამხ. მოჟაევი, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გადალახონ ყველა სიძნელე და თავდადებული შრომით ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნას.

თათბირი განაგრძობს მუშაობას.

(საქდესი).

საქართველოს მშრომელები უდიდესი ერთსულოვნებით მიესალმებიან და იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ამომრჩევლებისადმი

★ ★ ★

შრომითი ენთუზიაზმი

ქუთაისი. (საქ. კორ.). საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრის — ქუთაისის საწარმოთა კოლექტივებში და მოსახლეობის ფართო ფენებში შრომითი ენთუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ ამომრჩევლებისადმი.

საავტომობილო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა უმრავლესობამ რადიოთი მოისმინა მიმართვის ტექსტი. ამწყობ-მექანიკური საამქროს უბნის უფროსმა მ. ჯინჯიხაძემ მიმართვის შინაარსის მოსმენის შემდეგ განაცხადა:

— უსაზღვროა ჩვენი ერთგულება მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი. ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილებაა 14 მარტს უკლებლივ ყველანი გამოვცხადდეთ საარჩევნო ყუთებთან და ხმა მივცეთ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

სტახანოველმა ამწყობმა ბ. ვაშაკიძემ, რომელმაც ახლახან დაამთავრა მაიაკოვსკის მტს-ის ავტომანქანის კაპიტალური რემონტი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად იკისრა გეგმა ორმაგად გაანაღდოს.

აბრეშუმკომბინატის სტახანოველმა მქსელავმა მ. ბურკოვსკაიამ სიამაყით ილაპარაკა იმ დიდ უფლებებზე, რაც მინიჭებული აქვს ქალს ჩვენს ქვეყანაში. მან იკისრა 14 მარტისათვის 110 პროცენტით შეასრულოს კვარტალური გეგმა.

თბილისელი ფეიქრების პატრიოტული გადაწყვეტილება

მთელი დღეღამის განმავლობაში განუწყვეტლივ მუშაობს ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უმსხვილესი საფეიქრო საწარმო — თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა. ხმაურობენ სართავი და საქსოვი აგრეგატები, უწყვეტ ნაკადად მოედინება ნედლეული სარეცხი დანადგარებიდან, ბრუნავენ სამღებრო-სააპრეტურო საამქროში უზარმაზარდოლურებიანი მანქანები და ყოველდღიურად გამოაქვთ ფაბრიკიდან სავაჭრო ქსელში გასაგზავნად თოფებად დახვეული ნაირნაირი ქსოვილები.

ამ ქსოვილების შექმნაზე, სახალხო მოხმარების ამ ძვირფასი პროდუქციის გამოშვებაზე მუშაობენ მთელ რესპუბლიკაში სახელმოხვეჭილი ფეიქარი ოსტატების — გ. ახალკაცის, შ. გოგორიშვილის, გ. კრაწაშვილის, გ. ვართანოვის ფეიქართა მთელი რიგი სხვა მოწინავე ბრიგადები. მათი ნახელავია ეს ძვირფასი საკაბე, საკოსტუმე, საპალტოე ქსოვილები.

შესვენებისას რადიორეპროდუქტორიდან გაისმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ყველა ამომრჩევლისადმი. მალე საამქროში გაზეთებიც შემოიტანეს და აგიტატორებმა სახელდახელოდ მოაწყეს მათი წაკითხვა.

მიმართვის შინაარსმა აღაფრთოვანა ფეიქრები.

— პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ მიმართვას, — თქვა აგიტატორ ი. ფერაძის მიერ მოწყობილი საუბრის შემდეგ გამოჩენილმა მქსოველმა ნინო პონომარენკომ, — ჩვენ ვუპასუხებთ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებით, პროდუქციის გამოშვების გადიდებით და მისი ხარისხის სრულყოფით.

ფაბრიკის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების საერთო სულისკვეთება გამოხატა მქსოველმა ზ. ქობულოვამ.

— მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, — თქვა მან, — თბილისელი ფეიქრები არ გავტეხთ სიტყვას, მიმდინარე წლის გეგმას ვადამდე და საგრძნობი გადაჭარბებით შევასრულებთ, მივცემთ სამშობლოს საუკეთესო ხარისხის პროდუქციას.

მიმართვის გულდასმით გაცნობამ პატრიოტული შრომითი აღმავლობა გამოიწვია მთელ ფაბრიკაში. ფეიქრებმა პირობა დადეს, რომ ისინი პირნათლად გაანაღდებენ არჩევნების აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს, ერთსულოვნად გამოცხადდებიან არჩევნებზე და ხმას მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

უდიდესი ერთსულოვნება

გორის რაიონის კოლმეურნეებმა გუშინ დილით რადიოთი მოისმინეს ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ამომრჩევლებისადმი.

დიდი აღფრთოვანებაა მეჯვრისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც მიმართვის გაცნობისას მეხილეობის ბრიგადირმა დ. ზუმბურიძემ აღნიშნა: მშობლიური პარტია მუდმივად დიდ მზრუნველობას იჩენს კოლმეურნეებისათვის. ამას მოწმობენ ამ უკანასკნელ ხანს მიღებული მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ვკისრულობ ვალდებულებას ხეხილის ბაღების 40 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე წელს მივიღო 70 ცენტნერი ხილი ნაცვლად შარშან მიღებული 60 ცენტნერისა.

— ჩვენ, კოლმეურნეები, — თქვა ბრიგადირმა კ. ლიჩელმა, — ერთსულოვნად მივცემთ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, სასახელოდ მოვიხდით ჩვენს საპატიო მოვალეობას. უფრო გავაძლიერებ მუშაობას და მივაღწევ იმას, რომ 12 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანო 700 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ნაცვლად გასულ წელს მიღებული 510 ცენტნერისა.

სოფელ ზედდულეთის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგემ შ. ცერცვაძემ პირობა დადო 144 ძროხიდან საშუალოდ თვითეულზე მიიღოს 1.000 კილოგრამი რძე ნაცვლად შარშან მიღებული 910 კილოგრამისა.

მიმართვას მხურვალედ ეცნობიან ხიდისთავის, კარალეთის და სხვა კოლმეურნეობათა წევრები, რომლებიც ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ. **(„კომუნისტის“ კორ.).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

მიტროფანე იონას-ძე კუჭავა



ამხ. მ. ი. კუჭავა დაიბადა 1906 წელს ხობის რაიონის სოფელ გურიფულში გლეხის ოჯახში.

შრომითი საქმიანობა ამხ. მ. ი. კუჭავამ 1923 წელს დაიწყო. 1926 წლიდან 1941 წლამდე იგი მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე და სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში კადრების განყოფილების უფროსად, პროფკავშირის ქარხკომის თავმჯდომარედ, კომერციულ დირექტორად, ხოლო შემდეგ არჩეულ იქნა პარტიული კომიტეტის მდივნად.

1941 წელს ამხ. მ. ი. კუჭავა არჩეულ იქნა საქართველოს კომპარტიის გაგრის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო 1947 წელს — საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად.

1948 წლიდან 1951 წლამდე იგი სწავლობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რის შემდეგ მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგედ და საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივნად.

1953 წელს არჩეულ იქნა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ.

1954 წელს ამხ. მ. ი. კუჭავა დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

1923 წელს ამხ. მ. ი. კუჭავა შევიდა საკავშირო ალკკ რიგებში, ხოლო 1937 წლიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია.

ამხ. მ. ი. კუჭავა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

მარიამ ივლიანეს ასული ბურჭულაძე

ამხ. მ. ი. ბურჭულაძე დაიბადა 1900 წელს ქ. მახარაძეში.

შრომითი საქმიანობა მ. ი. ბურჭულაძემ 1920 წელს დაიწყო. მუშაობდა სოფლის სკოლის პედაგოგად მახარაძის, ხოლო შემდეგ დუშეთის რაიონში.

1937 წელს მან დაამთავრა ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო 1939 წელს შევიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.

1927 წლიდან ამხ. მ. ი. ბურჭულაძე მასწავლებლობდა თბილისში. 1937 წელს დაინიშნა თბილისის 36-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, ხოლო 1938 წელს დაწინაურებულ იქნა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილის პოსტზე. 1953 წლიდან ამხ. მ. ი. ბურჭულაძე საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილეა.

ამხ. მ. ი. ბურჭულაძე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით, აგრეთვე მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის" და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

1941 წელს მ. ი. ბურჭულაძეს მიენიჭა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

ამხ. მ. ი. ბურჭულაძე საქართველოს სსრ სამივე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

ალექსი ინოკენტის-ძე ანტონოვი



ამხ. ა. ი. ანტონოვი, არმიის გენერალი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, დაიბადა 1896 წელს ქალაქ გროდნოში სამხედრო პირის ოჯახში. სამოქალაქო ომის წლებში ამხ. ა. ი. ანტონოვი იბრძოდა საბჭოთა სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ამხ. ა. ი. ანტონოვი მთელი რიგი წლების მანძილზე მუშაობს ჯარის შენაერთების შტაბის უფროსად.

1928 წელს ამხ. ა. ი. ანტონოვი შედის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.

ამხ. ა. ი. ანტონოვმა დაამთავრა ჯერ ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია, ხოლო შემდეგ — გენერალური შტაბის აკადემია.

ამხ. ა. ი. ანტონოვის სამხედრო ნიჭი ბრწყინვალედ გაიფურჩქნა დიდი სამამულო ომის წლებში.

1942 წლის დამლევს ამხ. ა. ი. ანტონოვი დანიშნულ იქნა გენერალური შტაბის უფროსის პირველ მოადგილედ, ხოლო 1945 წელს — საბჭოთა არმიის გენერალური შტაბის უფროსად.

სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით, „გამარჯვების" ორდენით, სუვოროვის 1-ლი ხარისხის ორი ორდენით, კუტუზოვის 1-ლი ხარისხის ორდენით, წითელი დროშის ოთხი ორდენით, სამამულო ომის 1-ლი ხარისხის ორდენით, ხუთი მედლით.

ამხ. ა. ი. ანტონოვი სსრ კავშირის მეორე და მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, აგრეთვე სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრია.

პართენ გიორგის-ძე ქემოკლიძე

პართენ გიორგის-ძე ქემოკლიძე დაიბადა 1906 წელს საქართველოს სსრ ამბროლაურის რაიონის სოფელ ახალსოფელში.

1933 წელს ამხ. პ. გ. ქემოკლიძემ დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ნიადაგის სასუქების ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლად ქ. თბილისში, უფროს აგრონომად, ხოლო შემდეგ პენზის ოლქის მალაია სერდობის მტს-ის დირექტორად.

1941 წლიდან 1943 წლამდე ამხ. პ. გ. ქემოკლიძე მუშაობდა აჭარის ასს რესპუბლიკაში ჯერ საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად, შემდეგ საქართველოს კომპარტიის ბათუმის რაიკომის მეორე მდივნად. 1943 წელს გაიგზავნა ქლუხორის რაიონში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ ამ რაიონში.

1945 წლის იანვრიდან 1948 წლის ნოემბრამდე მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ახმეტის ახლად ჩამოყალიბებული რაიკომის მეორე მდივნად, ხოლო 1948 წლიდან ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის დირექტორად.

ამხ. პ. გ. ქემოკლიძე 1923 წელს შევიდა საკავშირო ალკკ რიგებში, 1932 წლიდან იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია.

ამხ. პ. გ. ქემოკლიძე დაჯილდოებულია ორი მედლით.

შალვა ესტატეს-ძე ფურცხვანიძე

ამხ. შ. ე. ფურცხვანიძე, წარჩინებული მეშახტე, ფართოდ არის ცნობილი როგორც შრომის მოწინავე მეთოდების ოსტატი საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში, რომლისთვისაც მან ათობით მაღაროელი მოამზადა.

ამხ. შ. ე. ფურცხვანიძე დაიბადა 1903 წელს ქუთაისის რაიონის სოფელ სორმონში. შრომითი საქმიანობა ჭაბუკობის წლებშივე დაიწყო.

ამხ. შ. ე. ფურცხვანიძე 1924 წელს მივიდა ტყიბულის ქვანახშირის შახტებში და მას შემდეგ განუწყვეტლივ მუშაობს იქ, ფართოდ იყენებს შრომის მოწინავე მეთოდებს და წლითიწლობით აღწევს მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს.

ამხ. შ. ე. ფურცხვანიძე დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით და სამი მედლით. მას მინიჭებული აქვს საპატიო მეშახტისა და ქვანახშირის ოსტატის წოდება.

ამხ. შ. ე. ფურცხვანიძე სსრ კავშირის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

ნიკოლოზ ეფრემის-ძე ბასისტი

ამხ. ნ. ე. ბასისტი დაიბადა 1898 წელს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდან ამხ. ნ. ე. ბასისტი რევოლუციური მატროსების რიგებშია.

1919 წლის დეკემბერში ამხ. ნ. ე. ბასისტი კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა.

1926 წლიდან 1932 წლამდე ამხ. ნ. ე. ბასისტი სწავლობდა კ. ე. ვოროშილოვის სახელობის სამხედრო-საზღვაო აკადემიაში.

1936-38 წლებში ამხ ნ. ე. ბასისტი სწავლობს გენერალური შტაბის აკადემიაში.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ამხ. ნ. ე. ბასისტი მეთაურობდა კრეისერს, ხოლო შემდეგ იმ ხომალდების შენაერთს, რომლებმაც მთელი რიგი გაბედული ოპერაციები განახორციელეს შავ ზღვაზე.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ ამხ. ნ. ე. ბასისტი დანიშნულ იქნა შავი ზღვის ფლოტის შტაბის უფროსად, ხოლო შემდეგ ამ ფლოტის სარდლად.

1947 წელს ამხ. ნ. ე. ბასისტი არჩეულ იქნა რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1951 წლიდან ამხ. ნ. ე. ბასისტის მთელი რიგი პასუხსაგები პოსტები უკავია სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროში.

1950 წელს ნიკოლოზ ეფრემის-ძე ბასისტი არჩეულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. პარტიის XIX ყრილობაზე ამხ. ნ. ე. ბასისტი არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად.

ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში თავის გამოჩენისა და შეიარაღებულ ძალებში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის ადმირალი ნ. ე. ბასისტი დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით, წითელი დროშის ოთხი ორდენით, უშაკოვის მე-2 ხარისხის ორდენით, კუტუზოვის მე-2 ხარისხის ორდენითა და მედლებით.

ავთანდილ ლევანის-ძე გუნია

ამხ. ა. ლ. გუნია დაიბადა 1912 წელს ქ. თბილისში.

1939 წელს მოსკოვის პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ამხ. ა. ლ. გუნია ინიშნება თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის დირექტორად. ამავე წელს ამხ. ა. ლ. გუნია შევიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.

1940 წელს ამხ. ა. ლ. გუნია მუშაობდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორად, საიდანაც სასწავლად გაიგზავნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში.

ამხ. ა. ლ. გუნიამ 1942 წელს დაამთავრა პარტიული სკოლა და 10 წლის განმავლობაში ეკავა პასუხსაგები თანამდებობანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში.

ამხ. ა. ლ. გუნია, რომელიც ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატია, 1952 წელს დაინიშნა საქართველოს კ. პ. ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ორწლიანი პარტიული სკოლის პოლიტიკური ეკონომიის ლექტორად, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის გამომცემლობათა და წიგნის ვაჭრობის სამმართველოს უფროსად.

1953 წლის აპრილიდან ამხ. ა. ლ. გუნია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეა, ხოლო 1953 წლის სექტემბრიდან — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

ამხ. ა. ლ. გუნია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატია. დაჯილდოებულია მედლებით „მოსკოვის დაცვისათვის", „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის" და „მოსკოვის 800 წლისთავი".

ნინო კალისტრატეს ასული დგებუაძე

ამხ. ნ. კ. დგებუაძე დაიბადა 1906 წელს ქ. თბილისში.

1929 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ამხ. ნ. კ. დგებუაძე მეცნიერულ მუშაობას ეწევა მახარაძის ცენტრალური საცდელი სადგურის ლაბორანტის თანამდებობაზე, შემდეგ მუშაობს ქ. თბილისში — ასისტენტად ბოტანიკურ ბაღში და სასუქების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალში.

1933 წლიდან 1936 წლამდე ამხ. ნ. კ. დგებუაძე ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის მეცნიერი თანამშრომელია, ხოლო 1936 წლიდან დღემდე — ამავე ფილიალის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ზუგდიდში მუშაობის წლებში ამხ. ნ. კ. დგებუაძემ მოახდინა მნიშვნელოვანი გამოკვლევები ჩაის კულტურის სასუქების დარგში, რამაც ფართო გამოყენება ჰპოვა აგრონომიულ პრაქტიკაში და ხელი შეუწყო ჩაის ფოთლის მოსავლიანობის ზრდას.

1940 წელს ამხ. ნ. კ. დგებუაძე საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო. 1948 წელს მან დაიცვა დისერტაცია სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ამხ. ნ. კ. დგებუაძე დაჯილდოებულია ორი მედლით.

1950 წელს ამხ. ნ. კ. დგებუაძე არჩეულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

გივი აკაკის-ძე წითლიძე

ამხ. გ. ა. წითლიძე დაიბადა 1923 წელს საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანებში. 1937 წელს შევიდა კომკავშირში, 1944 წელს მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.

1942 წლიდან 1947 წლამდე ამხ. გ. ა. წითლიძე საბჭოთა არმიის რიგებში იმყოფებოდა; მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. დემობილიზაციის შემდეგ დაბრუნდა სოფელ ნატანების კოლმეურნეობაში. აქ იგი არჩეულ იქნა პირველადი საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივნად.

1952 წლის მაისიდან 1953 წლის ოქტომბრამდე ამხ. გ. ა. წითლიძე მუშაობდა პარტიის მახარაძის რაიკომის ინსტრუქტორად, ხოლო შემდეგ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ, შემდეგში კი მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ.

1953 წლის ბოლოს ამხ. გ. ა. წითლიძე არჩეულ იქნა სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ. კოლმეურნეობა, რომელსაც ამხ. გ. ა. წითლიძე ხელმძღვანელობს, მოწინავეა რაიონში.

სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ ამხ. გ. ა. წითლიძე სწავლობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

ამხ. გ. ა. წითლიძე აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ მუშაობაში. იგი არჩეულია საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის წევრად, მახარაძის რაისაბჭოს დეპუტატად.

ამხ. გ. ა. წითლიძე დაჯილდოებულია ალექსანდრე ნეველის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენითა და სამი მედლით.

გიორგი ანდრიას-ძე გეგეშიძე

ამხ. გ. ა. გეგეშიძე დაიბადა 1924 წელს ქ. ხაშურში.

1930 წელს ამხ. გ. ა. გეგეშიძე შევიდა ხაშურის მე-16 რკინიგზის სკოლაში, რომელიც 1940 წელს დაამთავრა.

1940 წლიდან 1945 წლამდე ამხ. გ. ა. გეგეშიძე სწავლობდა საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროტექნიკურ ფაკულტეტზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1945 წლიდან ამხ. გ. ა. გეგეშიძე ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზეა, ჯერ არის საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მეორე მდივანი, ხოლო შემდეგ პირველი მდივანი.

ამხ. გ. ა. გეგეშიძე 1937 წელს შევიდა კომკავშირში, ხოლო 1946 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში იქნა მიღებული.

1948 წლიდან ამხ. გ. ა. გეგეშიძე ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზეა. იგი მუშაობს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტკომის მდივნად, საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილედ კადრების დარგში, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

1953 წლის ოქტომბერში ამხ გ. ა. გეგეშიძე არჩეულ იქნა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად.

ამხ. გ. ა. გეგეშიძე დაჯილდოებულია ორი მედლით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

ივანე ალექსის-ძე მეტრეველი

ამხ. ი. ა. მეტრეველი დაიბადა 1926 წელს სტავროპოლის მხარის ორლოვსკაიას რაიონის სამთო-საქარხნო დაბაში.

საქართველოს სსრ ლაგოდეხის რაიონში რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ამხ. ი. ა. მეტრეველი 1944 წლამდე ლაგოდეხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი იყო.

1944 წელს ამხ. ი. ა. მეტრეველი ახალგაზრდა ქართველ კოლმეურნეებთან ერთად მეტალურგის პროფესიას დაეუფლა. იგი მუშაობს მეფოლადის თანაშემწედ ქალაქ სტალინოს სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში, შემდეგ 1949 წლიდან — პრაქტიკანტად მაკეევკის მეტალურგიულ ქარხანაში, ხოლო 1950 წლიდან — მეფოლადედ ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში.

კომკავშირელი ი. ა. მეტრეველი მოწინავე ჩქაროსანი მეფოლადეა. იგი ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებს ფოლადის გამოდნობის საწარმოო პროგრამას.

ამხ. ი. ა. მეტრეველი დაჯილდოებულია ორი მედლით.

მარიამ იორდანეს ასული ტეხოვა

ამხ. მ. ი. ტეხოვა დაიბადა 1914 წელს. 1929 წელს მუშაობა დაიწყო მასწავლებლად ლენინგორის რაიონის სოფელ ყანჩაეთის დაწყებით სკოლაში.

1933 წელს ამხ. მ. ი. ტეხოვამ დაამთავრა თბილისის ცენტრალური მუშფაკი და კვლავ დაიწყო მასწავლებლად მუშაობა სოფელ ლენინგორში.

1936-დან 1941 წლამდე ამხ. მ. ი. ტეხოვა სწავლობს კ. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში ქ. მოსკოვში. ამის შემდეგ მუშაობს სასოფლო-სამეურნეო ლაბორატორიის გამგედ ლენინგორის რაიონში, ლენინგორის რაიმიწგანის გამგედ, თესლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის უფროსად იმავე რაიონში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ ამხ. მ. ი. ტეხოვა სამუშაოდ წავიდა სოფლად და დაინიშნა ზნაურის რაიონის სოფელ ზნაურის ლენინის სახელობის გამსხვილებული კოლმეურნეობის აგრონომად, ხოლო შემდეგ სტალინირის მტს-ის მთავარ აგრონომად. ამხ. მ. ი. ტეხოვა ენერგიულად ეწევა მოწინავე საბჭოთა აგროტექნიკის მიღწევების პროპაგანდას, წარმატებით იბრძვის კოლმეურნეობებში მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ამხ. მ. ი. ტეხოვა 1927 წელს შევიდა კომკავშირში, 1943 წელს მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში. იგი არის საქართველოს კ. პ. სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია მედლით.

ალექსი ნიკოლოზის-ძე ინაური

ამხ. ა. ნ. ინაური დაიბადა 1908 წელს ქალაქ გორში. 1927 წლამდე ამხ. ა. ნ. ინაური სწავლობდა და ამავე დროს მუშაობდა ჯერ ქ. გორში, ხოლო შემდეგ ქ. თბილისში.

1927 წელს ამხ. ა. ნ. ინაური შედის ჩრდილოეთ კავკასიის საკავალერიო სკოლაში ქ. კრასნოდარში, რომლის დამთავრების შემდეგ მსახურობს სხვადასხვა სამხედრო ნაწილში.

დიდი სამამულო ომის წლებში ამხ. ა. ნ. ინაურს ეკავა მეთაურის პასუხსაგები თანამდებობანი — პოლკის მეთაურისა, ხოლო შემდეგ დივიზიის მეთაურისა.

1946 წელს ამხ. ა. ნ. ინაური შედის კ. ე. ვოროშილოვის სახელობის უმაღლეს სამხედრო აკადემიაში, რომელსაც წარმატებით ამთავრებს 1948 წელს.

1948 წლიდან 1953 წლამდე ამხ. ა. ნ. ინაური ჯერ დივიზიის, ხოლო შემდეგ კორპუსის მეთაური იყო.

1953 წლის ივლისიდან დღემდე ამხ. ა. ნ. ინაური საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრია.

ამხ. ა. ნ. ინაური საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1932 წლიდან, იგი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრია. ამხ. ა. ნ. ინაური დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, წითელი დროშის ორი ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით.

მარიამ ვლადიმერის ასული გადლია

ამხ. მ. ვ. გადლია დაიბადა 1925 წელს აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშში.

შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ამხ. მ. ვ. გადლია შევიდა სოხუმის პედაგოგიურ სასწავლებელში. 1942 წელს ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო მასწავლებლად ტამიშის საშუალო სკოლაში. ამჟამად ამხ. მ. ვ. გადლია ტამიშის დაწყებითი სკოლის გამგეა.

ამხ. მ. ვ. გადლიამ უნარიანად მოაწყო სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლაში, მიაღწია მოსწავლეთა მაღალ წარმატებას და მტკიცე შეგნებულ დისციპლინას.

ამხ. მ. ვ. გადლია აქტიურ მონაწილეობას იღებს რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს პედაგოგებს შორის და მოსახლეობაში. მთელ თავის ძალღონესა და ცოდნას იგი ახმარს მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

1940 წლიდან ამხ. მ. ვ. გადლია საკავშირო ალკკ წევრია, ხოლო 1951 წლიდან — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი.

ამხ. მ. ვ. გადლია სსრ კავშირის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

ოთარ დავითის-ძე გოცირიძე

ამხ. ო. დ. გოცირიძე დაიბადა 1919 წელს ქ. ქუთაისში. 1936 წელს ამხ. ო. დ. გოცირიძემ ბათუმში დაამთავრა საშუალო სკოლა და შევიდა მოსკოვის ბაუმანის სახელობის მექანიკურ-მანქანათმშენებელ ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1941 წელს ამხ. ო. დ. გოცირიძე სამუშაოდ იგზავნება იჟევსკში ინჟინერ-კონსტრუქტორად, ხოლო შემდეგ დიდი ქარხნის მექანიზაციის ბიუროს უფროსად. ამხ. ო. დ. გოცირიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში, მოიპოვა კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ნდობა და პატივისცემა და დამტკიცებულ იქნა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგად ქარხანაში.

1944 წელს ამხ. ო. დ. გოცირიძეს აწინაურებენ სამუშაოდ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის აპარატში. აქ იგი მუშაობს მუშა ახალგაზრდობის განყოფილების გამგის მოადგილედ, საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგის მოადგილედ, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ, ხოლო შემდეგ გამგედ.

1951–1953 წლებში ამხ. ო. დ. გოცირიძე არის გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" სარედაქციო კოლეგიის წევრი და მთავარი რედაქტორის მოადგილე, ჟურნალ „მოლოდოი კომუნისტის" სარედაქციო კოლეგიის წევრი.

1953 წლის აგვისტოდან ამხ. ო. დ. გოცირიძე საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგეა.

ამხ. ო. დ. გოცირიძე საკავშირო ალკკ წევრია 1935 წლიდან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი — 1943 წლიდან. იგი არის საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი.

ამხ. ო. დ. გოცირიძე დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით და ორი მედლით.

ირაკლი ბესარიონის-ძე აბაშიძე



ამხ. ი. ბ. აბაშიძე — ცნობილი საბჭოთა მწერალი — დაიბადა 1909 წელს ქ. წულუკიძეში. დაამთავრა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

ლიტერატურული მოღვაწეობა ამხ. ი. ბ. აბაშიძემ 1927-1928 წლებში დაიწყო.

მისი ნაწარმოებები იბეჭდება ქართულ, რუსულ, უკრაინულ და მოძმე ხალხთა სხვა ენებზე. თავის ლექსებში ამხ. ი. ბ. აბაშიძე უმღერის სოციალისტურ სამშობლოს, საბჭოთა ხალხის თავდადებულ შრომას, საბჭოთა ხალხისა, რომელიც ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით აშენებს კომუნიზმს.

გარდა ლიტერატურული მოღვაწეობისა ამხ. ი. ბ. აბაშიძე აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. 1931 წლიდან რედაქტორობს ქართულ ჟურნალებს.

1939-1944 წლებში ამხ. ი. ბ. აბაშიძე ხელმძღვანელობდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირს. 1946 წლიდან 1953 წლამდე ჟურნალ „მნათობის" პასუხისმგებელი რედაქტორია. 1953 წელს ამხ. ი. ბ. აბაშიძეს ირჩევენ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველ მდივნად. ამ თანამდებობაზე მუშაობს ამჟამადაც.

ამხ. ი. ბ. აბაშიძე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1939 წლიდან. 1925-დან 1939 წლამდე საკავშირო ალკკ წევრი იყო.

ი. ბ. აბაშიძე დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და ორი მედლით.

ივანე პეტრეს-ძე ყუჯიაშვილი



ამხ. ი. პ. ყუჯიაშვილი დაიბადა 1906 წელს ქ. თბილისში მუშის ოჯახში.

1924 წელს, თბილისის კამოს სახელობის საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ამხ. ი. პ. ყუჯიაშვილი კომკავშირულმა ორგანიზაციამ მოსკოვში გაგზავნა სწავლის განსაგრძობად.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ამხ. ი. პ. ყუჯიაშვილი საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებში მუშაობდა. 1929 წლიდან იგი ხელმძღვანელ კომკავშირულ, საბჭოთა და პარტიულ სამუშაოზეა.

1941 წელს ამხ. ი. პ. ყუჯიაშვილი მუშაობდა საქართველოს კ. პ. ახალქალაქის რაიკომის მეორე მდივნად, 1942 წლიდან — გარდაბნის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო 1946 წლიდან — პარტიის გორის რაიკომის პირველ მდივნად.

1951 წლიდან 1953 წლამდე ამხ. ი. პ. ყუჯიაშვილი თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა.

1953 წლის მაისში ამხ. ი. პ. ყუჯიაშვილი არჩეულ იქნა საქართველოს კ. პ. სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად.

ამხ. ი. პ. ყუჯიაშვილი კომკავშირში შევიდა 1923 წელს, ხოლო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში — 1928 წელს.

ამხ. ი. პ. ყუჯიაშვილი არის საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ამხ. ი. პ. ყუჯიაშვილი დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით, სამამულო ომის II ხარისხის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

თამარ აკაკის ასული მაჭავარიანი

ამხ. თ. ა. მაჭავარიანი დაიბადა 1915 წელს საქართველოს სსრ თელავის რაიონის სოფელ წინანდალში. 1931 წელს დაამთავრა თელავის პედაგოგიური ტექნიკუმი და მუშაობდა სოფელ იყალთოს არასრული საშუალო სკოლის პედაგოგად.

1932 წელს ამხ. თ. ა. მაჭავარიანი შევიდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ პედაგოგიურ მოღვაწეობას განაგრძობდა.

1937-დან 1946 წლამდე ამხ. თ. ა. მაჭავარიანი მუშაობდა თელავის მე-4 საშუალო სკოლის პედაგოგად, ხოლო 1946 წლიდან დღემდე — თელავის მე-3 საშუალო სკოლის პედაგოგი და სასწავლო ნაწილის გამგეა. ამხ. თ. ა. მაჭავარიანის ნაყოფიერმა მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას. მოსწავლეთა და პედაგოგთა შორის ამხ. თ. ა. მაჭავარიანი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს.

ამხ. თ. ა. მაჭავარიანი დაჯილდოებულია ორი მედლით.

არქიპო მირონის-ძე ლაბახუა

ამხ. ა. მ. ლაბახუა დაიბადა 1910 წელს აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფელ რეკაში.

1936 წელს ამხ. ა. მ. ლაბახუამ დაამთავრა ი. ბ. სტალინის სახელობის სამთო ინსტიტუტი ქ. მოსკოვში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ამხ. ა. მ. ლაბახუა მუშაობდა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სისტემაში: უბნის უფროსის თანაშემწედ, უბნის უფროსად, შახტის მთავარი ინჟინრის თანაშემწედ, სტალინის სახელობის შახტის უფროსად.

1944 წელს ამხ. ა. მ. ლაბახუა დამტკიცებულ იქნა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მთავარ ინჟინრად, ხოლო 1950 წლის იანვარში — ტრესტის მმართველად.

1953 წლის ოქტომბრიდან ამხ. ა. მ. ლაბახუა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა.

ამხ. ა. მ. ლაბახუა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრია, არის აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ამხ. ა. მ. ლაბახუა 1939 წელს შევიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.

ამხ. ა. მ. ლაბახუა დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და სამი მედლით.

ალექსანდრე დურსუნის-ძე თხილაიშვილი



ამხ. ა. დ. თხილაიშვილი დაიბადა 1914 წელს აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში, გლეხის ოჯახში.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ამხ. ა. დ. თხილაიშვილი მუშაობდა ქედის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის სამიწათმოქმედო განყოფილების გამგედ და თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1946 წლიდან პასუხსაგებ პარტიულ სამუშაოზე იყო.

1950 წლიდან ამხ. ა. დ. თხილაიშვილი მუშაობს აჭარის ასსრ ტექნიკური კულტურების მინისტრად, შემდეგ სოფლის მეურნეობის მინისტრად. ამჟამად ამხ. ა. დ. თხილაიშვილი აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა.

ამხ. ა. დ. თხილაიშვილი საქართველოს კ. პ. აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრია. იგი აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

ამხ. ა. დ. თხილაიშვილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1943 წლიდან.

ამხ. ა. დ. თხილაიშვილი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და ორი მედლით.

საბჭოთა კავშირი და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირზე 1954 წლის 10 თებერვალს

ამ თათბირმა დიდი ყურადღება დაუთმო გერმანიის საკითხს. გამოირკვა, რომ დასავლეთის სამი სახელმწიფოს პოზიციასა და საბჭოთა კავშირს შორის, რომელიც ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოების თვალსაზრისს გამოხატავს, არსებითი უთანხმოებაა.

საბჭოთა დელეგაცია მნიშვნელობას ანიჭებს გერმანიის საკითხის განხილვას, რაც უკვე მოხდა. ჩვენ ვითვალისწინებთ იმას, რომ ეს განხილვა უნდა გაგრძელდეს.

ჩვენი ხალხები დაინტერესებული არიან იმით, რომ გერმანიის საკითხის გადაწყვეტა დიდი ხნით არ გადაიდოს. უნდა განვაგრძოთ მეცადინეობა ჩვენი პოზიციების შესაძლო დაახლოებისა და შეთანხმებისათვის. საჭიროა უზრუნველვყოთ გერმანიის საკითხის ისეთი გადაწყვეტა, რომელიც დამაკმაყოფილებელი იქნება ყველა ჩვენი სახელმწიფოს და ევროპის ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნის თვალსაზრისით. იგი უნდა შეესაბამებოდეს მშვიდობის შენარჩუნებისა და გერმანიის ეროვნული თავისუფლების პრინციპებს და ამასთანავე ევროპის ყველა ხალხის ეროვნული ინტერესებისა და უშიშროების დაცვას.

ჩვენ უნდა ვცდილობდეთ თავიდან ავიცილოთ ევროპის გათიშვა სამხედრო დაჯგუფებებად. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ბ-ნ იდენის სიტყვები, რომლებიც მან თქვა ერთა ლიგის ასამბლეაზე 1936 წლის 25 სექტემბერს სახელმწიფოების დაჯგუფებებად დაყოფის წინააღმდეგ, როცა განაცხადა: „უკანასკნელი რამ, რაც ჩვენ გვინდა ვიხილოთ, არის სახელმწიფოები, რომლებიც დაყოფილი აქნებიან ბანაკებად მართვა-გამგეობის იმ ფორმის ნიშნის მიხედვით, რომელსაც ისინი იყენებენ".

ჩვენ უკვე გადავიტანეთ ორი მსოფლიო ომი. როგორც პირველ, ისე მეორე მსოფლიო ომს წინ უძღოდა ევროპის, და არა მარტო ევროპის, გათიშვა ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებებად.

პირველი მსოფლიო ომის წინ ჯერ შეიქმნა ავსტრია-გერმანიის დაჯგუფება. ეს დაჯგუფება გადაიქცა „სამთა კავშირად" — გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია.

ამ დაჯგუფების შექმნის პასუხად გაჩნდა მეორე დაჯგუფება. ჯერ შეიქმნა საფრანგეთ-რუსეთის კავშირი. შემდეგ გაჩნდა „სამთა შეთანხმება" ანუ „ანტანტა", რომელმაც გააერთიანა რუსეთი, საფრანგეთი და ინგლისი.

როგორც პირველი, ისე მეორე დაჯგუფების ჩამოყალიბების შემდეგ იფეთქა მსოფლიო ომმა. ძირითადად ეს იყო ომი სახელმწიფოთა აღნიშნულ ორ დაჯგუფებას შორის.

მეორე მსოფლიო ომსაც წინ უძღოდა სახელმწიფოების დაჯგუფებათა შექმნა.

ჩვენ გვახსოვს, თუ რამდენი ხმაური გამოიწვია დაჯგუფებამ, რომელიც მაშინ ცნობილი იყო „ბერლინ-რომის ღერძის" სახელწოდებით. ეს დაჯგუფება დაგვირგვინდა ეგრეთწოდებული ანტიკომინტერნული პაქტით, რომელსაც ხელს აწერდნენ ჰიტლერული გერმანია, ფაშისტური იტალია, მილიტარისტული იაპონია. საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა ტოკიოში, რომელიც გაიმართა 1946-1948 წლებში, დაადასტურა, რომ სწორედ ამ აგრესიულმა დაჯგუფებამ, რომელიც თავის თავს უპირისპირებდა სხვა სახელმწიფოებს, გააჩაღა მეორე მსოფლიო ომი. ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება, თუ გავიხსენებთ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კორდელ ჰელის სიტყვებს. მან ერთ დროს თქვა: „თუმცა პაქტი გარეგნულად დაიდო კომუნიზმისაგან თავდასაცავად, მაგრამ ფაქტიურად იგი მოსამზადებელი ნაბიჯი იყო ავაზაკი სახელმწიფოების მხრივ ძალადობის ექსპანსიის შემდგომ ღონისძიებათა განსახორციელებლად".

მეორე მსოფლიო ომი ჯერ დასავლეთში — ევროპაში დაიწყო. ორი წლის შემდეგ მილიტარისტული იაპონია თავს დაესხა ამერიკის შეერთებულ შტატებს აღმოსავლეთში.

საჭირო ხდება ეს ფაქტები გავიხსენოთ, რათა ფხიზლად შევხედოთ იმ მოვლენებს, რომლებიც ჩვენს დროს ხდება.

ჩვენს ქვეყნებზეა დამოკიდებული — მოხდეს თუ არა მესამე მსოფლიო ომი. თუ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და სსრ კავშირი გადაწყვეტენ ხელი შეუშალონ ახალი მსოფლიო ომის წარმოშობას, — მათ შეუძლიათ კიდევაც გააკეთონ ეს.

ახალი ომი რომ არ დავუშვათ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისტორიის გაკვეთილები. უწინარეს ყოვლისა, უნდა ვაღიაროთ, რომ თუ არ გვინდა დავუშვათ ახალი მსოფლიო ომი — ეს კი ამავე დროს ნიშნავს არ დავუშვათ ახალი ომი ევროპაშიც, — ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რაც კი შესაძლებელია, რათა არ დავუშვათ, რომ ევროპაში შეიქმნას ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებანი. ამასთან არ შეიძლება დავივიწყოთ, თუ რა განსაკუთრებით საშიშ როლი შეასრულა გერმანიის მილიტარიზმმა როგორც პირველი მსოფლიო ომის, ისე მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში.

უკანასკნელი წლების ყველასათვის ცნობილი ფაქტები მოწმობენ, რომ უკვე ხორციელდება ის აზრი, რომ შეიქმნას სამხედრო დაჯგუფებანი, რომლებიც თავს უპირისპირებენ უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს. ამ მხრივ გზა გაკაფა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკმა, რომელიც ხუთი წლის წინათ შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მეთაურობით. ახლა სწორედ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი ყოველნაირად უწყობს ხელს იმ გეგმებს, რომ სამხედრო დაჯგუფებანი შეიქმნას ევროპაში, აზიაში, წყნარ ოკეანეში, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთსა და შუა აღმოსავლეთში.

ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტი ბევრი რამით მოგვაგონებს ანტიკომინტერნულ პაქტს, რომელსაც მოჰყვა მეორე მსოფლიო ომის გაჩაღება. საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის ბედი ანტიკომინტერნული პაქტის ბედზე უკეთესი არ იქნება. რაც უსაფუძვლო აღმოჩნდა 30-იან წლებში სსრ კავშირის საწინააღმდეგო გეგმების მხრივ, უფრო საიმედო ვერ აქნება 50-იან ან 60-იან წლებში.

ბერლინის ამ თათბირზე ჩვენ, ბუნებრივია, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ გერმანიის საკითხს და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფას.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა დელეგაცია კვლავ და კვლავ აღნიშნავს, თუ რა საშიშარია „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შექმნის გეგმები. ეს გეგმები შეუთავსებელია იმის აღიარებასთან, რომ საჭიროა ევროპის ხალხთა კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფა.

ბ-ნი ბიდო, ბ-ნი იდენი, ბ-ნი დალესი აქ იცავდნენ იმას, რომ საჭიროა შეიქმნას „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება".

გვეუბნებიან, თითქოს ეს გეგმა არ იყოს მიმართული საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. გადაკვრით გვეუბნებიან, თითქოს მაშინაც კი, როცა შეიქმნება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება", ე. ი. ეგრეთწოდებული „ევროპის არმია", რომელშიც რემილიტარიზებული დასავლეთ გერმანიაც შევა, საბჭოთა კავშირსა და ევროპის სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს შეიძლება ჰქონდეთ უშიშროების გარანტიები.

ასეა თუ არა?

რა თქმა უნდა, ასე არ არის.

ევროპის უშიშროების ყოველი გარანტია უწინარეს ყოვლისა გულისხმობს, რომ არსებობს იმის გარანტიები, რომ არ აღორძინდება გერმანიის მილიტარიზმი, რომელმაც 25 წლის მანძილზე ევროპის ხალხებს ორჯერ დაატეხა თავს ომი. ამავე დროს დასავლეთის სახელმწიფოთა გეგმები, რომ შეიქმნას „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება", ესე იგი სამხედრო ბლოკი დასავლეთ გერმანიის მონაწილეობით, გარდუვალად იწვევს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას. რადგან დასავლეთ გერმანიას სამხედრო მრეწველობისა და ადამიანთა ყველაზე დიდი რესურსები მოეპოვება, გერმანიის მილიტარიზმი მთავარ როლს შეასრულებს „ევროპის თავდაცვით გაერთიანებაში". ამრიგად, როცა საბჭოთა კავშირის უშიშროების გარანტიებს უკავშირებენ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შექმნას, დასავლეთის სახელმწიფოები ამით უშიშროების გარანტიის როლს აკისრებენ გერმანიის მილიტარიზმს, რომლის აღდგენაც სწორედ მთავარ საფრთხეს უქმნის ევროპის უშიშროებას.

დასავლეთის სახელმწიფოებმა დღემდე ვერ შექმნეს „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება", რადგან ამას შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ ევროპის ქვეყნების ხალხები. ახლა, სიტყვიერ დაპირებებს იძლევიან რა საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების უშიშროების „გარანტიების" შესახებ, დასავლეთის სახელმწიფოებს სურთ ეს სიტყვიერი დაპირებანი იმ მიზნით გამოიყენონ, რომ ბოლოს და ბოლოს შექმნან „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება".

სამხედრო ბლოკის შექმნა ევროპის ექვსი ქვეყნისაგან — დასავლეთ გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგისაგან — იმის მომასწავებელი იქნება, რომ ისინი დაუპირისპირდნენ დანარჩენ ევროპას, გაძლიერდეს ევროპის გათიშვა, საერთაშორისო დაძაბულობა, და საფრთხეს შეუქმნის ევროპის ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, მათ შორის გერმანელი ხალხის ინტერესებსაც. ცხადია, შემთხვევითი არ არის, რომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება" ვიწრო და კარჩაკეტული სამხედრო დაჯგუფებაა, რომელშიც ევროპის სხვა სახელმწიფოებს არ იღებენ.

დასავლეთის სახელმწიფოების გეგმები ითვალისწინებენ, რომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შექმნის შემდეგ ძალაში შევა ეგრეთწოდებული „ბონის ხელშეკრულება", რომელიც „პარიზის ხელშეკრულებასთან" ერთად იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ევროპის ცენტრში უცხოეთის შეიარაღებული ძალები იყვნენ 50 წელიწადს. სავსებით ნათელია, რომ ეს ძირეულად ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირის უშიშროების გარანტიათა მოთხოვნებს, აგრეთვე ევროპის ხალხთა ნორმალური მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფის მოთხოვნებს.

„ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შექმნა იმის მომასწავებელი იქნება, რომ მუდმივი გახდეს გერმანიის გათიშვა, ძირს გამოუთხრის გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას, რაც ეწინააღმდეგება ევროპის უშიშროების ელემენტარულ მოთხოვნებს.

რას შეიძლება მოასწავებდნენ დეკლარაციული განცხადებანი იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი უშიშროების „გარანტიებს" მისცემენ საბჭოთა კავშირს? როგორც ხელმძღვანელი მონაწილენი ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკისა, რომლის შემადგენელი ნაწილიც უნდა გახდეს „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება", ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი რემილიტარიზებული დასავლეთ გერმანიის პარტნიორები გახდებიან. ასეთ მდგომარეობაში ისინი ვერ იქნებიან საბჭოთა კავშირის უშიშროების გარანტები, ვერ უზრუნველყოფენ, რომ მას თავს არ დაესხას გერმანიის მილიტარიზმი.

უნდა გავიხსენოთ, რომ ლოკარნოს ხელშეკრულებითაც კი ინგლისი და იტალია, რომლებიც ასრულებდნენ მილიტარისტული გერმანიის მხრივ თავდასხმის საფრთხისაგან საფრანგეთის სტატუს-კვოს გარანტების როლს, გერმანიასთან სამხედრო ბლოკში არ იყვნენ.

ყოველივე ნათქვამი ცხადყოფს, რომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შექმნის გეგმები ვერ შეუწყობენ ხელს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას.

გვეკითხებიან, მაშ როგორია „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" ალტერნატივა. რით შეიძლება შეიცვალოს „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება", თუ მისი შექმნის გეგმებზე ხელს ავიღებთ. ეს საკითხი განსაკუთრებით აინტერესებთ საფრანგეთში, რაც სავსებით ბუნებრივად მიგვაჩნია.

ვუპასუხებთ ამ კითხვაზე: „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შექმნის გეგმების ნაცვლად საჭიროა პრაქტიკულად განხორციელდეს ევროპის ყველა ხალხისათვის კოლექტიური უშიშროების იდეა. უშიშროება უზრუნველყოფილ უნდა იქნას ევროპაში ყველა ქვეყნისათვის, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილების განსხვავებისა.

1947 წლის 2 სექტემბერს რიო-დე ჟანეიროში დაიდო ამერიკის სახელმწიფოთა ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ. ამ ხელშეკრულების მონაწილენი არიან ამერიკის შეერთებული შტატები და ლათინური ამერიკის ყველა რესპუბლიკა. ეს ხელშეკრულება დაიდო უკვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის შემდეგ. არავის არ მიუჩნევია ეს შეუწყნარებლად ან ზედმეტად.

იბადება კითხვა, რატომ შეიძლება იყოს ამერიკის სახელმწიფოთა ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ და არ შეიძლება იყოს, ვთქვათ, ევროპის ხელშეკრულება ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ? არავითარი საფუძველი არ არის უარვყოთ ამგვარი წინადადება. ასეთი ხელშეკრულება სავსებით შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსებობას.

რა კი დარწმუნებულია, რომ ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხის, ისევე როგორც საყოველთაო მშვიდობის დაცვის ამოცანების გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს კოლექტიური ღონისძიებებით, საბჭოთა კავშირს საჭიროდ მიაჩნია, რომ ევროპის ერთი წყება სახელმწიფოების მეორე წყება სახელმწიფოებისათვის დაპირისპირების ნაცვლად შეიქმნას სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა. ამ სისტემამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ევროპის ყველა სახელმწიფო მჭიდროდ ითანამშრომლებს, რათა არ დაუშვან მშვიდობის დარღვევა ევროპაში, საჭირო წინააღმდეგობა გაუწიონ მშვიდობის დარღვევას და ამასთანავე უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფოს შესაბამისი კონკრეტული ვალდებულებანი, მათ შორის სამხედრო ხასიათის ვალდებულებანი, რათა ეს სისტემა ქმედითი, ეფექტიანი იყოს.

მეორე მსოფლიო ომამდე რამდენიმე წლის წინათ საბჭოთა მთავრობა ყოველნაირად უსვამდა ხაზს კოლექტიური უშიშროების საკითხის მნიშვნელობას. მაშინ კოლექტიური უშიშროების იდეის მთავარი მოწინააღმდეგე ჰიტლერული მთავრობა იყო. ჰიტლერი, თავისი აგრესიის გეგმებით, გასაგები მიზეზების გამო, კოლექტიური უშიშროების მოწინააღმდეგე იყო.

მაგრამ, მშვიდობის განმტკიცების ინტერესების თვალსაზრისით, რით იქნება ცუდი, რომ ახლანდელ პირობებში ევროპის ერებმა კოლექტიური უშიშროების იდეა განახორციელონ და დადონ სრულიად ევროპის შესაბამისი ხელშეკრულება?

ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების დადება შეესაბამება ევროპის ხალხთა უდიდეს მისწრაფებას მშვიდობის განმტკიცებისადმი. ეს დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ამრიგად, ჩვენს წინაშე უბრალო ამოცანა როდი დგას, მაგრამ მისი განხორციელება სავსებით შესაძლებელია.

ჩვენ უნდა განვაგრძოთ მეცადინეობა, რათა დამაკმაყოფილებლად გადავჭრათ გერმანიის საკითხი. რასაც თათბირის ამ დღეებში ვერ მივაღწევთ, შეგვიძლია ვეცადოთ მივაღწიოთ უახლოეს ხანში, ისე რომ ამა თუ იმ სეპარატული გეგმის განხორციელების გულისათვის არამც და არამც არ გადავდოთ გერმანიის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგება.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ როგორც გერმანიის საკითხის მოწესრიგების ინტერესები, ისე მთელი ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესები მოითხოვს, რომ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიის ტერიტორიიდან გაყვანილ იქნან საოკუპაციო ჯარები, გარდა განსაზღვრული კონტინგენტებისა, რომლებიც რჩებიან ოთხი სახელმწიფოს საკონტროლო ამოცანებიდან გამომდინარე დაცვის ფუნქციების შესასრულებლად. გერმანიის ტერიტორიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა ხელს შეუწყობს ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას ევროპის სახელმწიფოთა შორის და არა მარტო ევროპის სახელმწიფოთა შორის. ამას თავისთავადაც დიდი მნიშვნელობა ექნება მშვიდობის განმტკიცებისათვის ევროპაში.

ჩვენ უნდა შევთანხმდეთ ზოგიერთ გადაუდებელ ღონისძიებაზე, კერძოდ იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა განვახორციელოთ, სანამ დაიდებოდეს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან და გერმანია გაერთიანდებოდეს დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე.

ამასთანავე ოთხმა სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი, რათა ხელი შეუწყონ იმას, რომ ევროპის სახელმწიფოთა შორის დაიდოს ხელშეკრულება კოლექტიური უშიშროების შესახებ. ასეთმა ხელშეკრულებამ უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი გარანტიები აგრესიისა და ევროპაში მშვიდობის დარღვევის წინააღმდეგ.

ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა ოდნავაც ვერ შეამცირებს და არც უნდა შეამციროს იმის მნიშვნელობა, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე მოწესრიგდეს გერმანიის საკითხი ევროპაში მშვიდობის დაცვის მოთხოვნების შესაბამისად. უფრო მეტიც, კოლექტიური უშიშროების სისტემის განხორციელებას შეუძლია ხელი შეუწყოს იმას, რომ უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნას გერმანიის საკითხის მოწესრიგებისათვის, რადგან ამ სისტემის დროს შეუძლებელი იქნება, რომ გერმანიის ესა თუ ის ნაწილი შევიდეს სამხედრო დაჯგუფებებში, და ამრიგად ისპობა გერმანიის ერთიანი მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი უმთავრესი დაბრკოლება.

თავისთავად იგულისხმება, რომ კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისას არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ის, რომ გერმანია ჯერჯერობით გათიშულია ორ ნაწილად. აქედან გამომდინარეობს ერთი დიდმნიშვნელოვანი დასკვნა, სახელდობრ ის, რომ ევროპაში მშვიდობის დაცვის ინტერესები, ისევე როგორც თვითონ გერმანელი ხალხის ინტერესები მოითხოვს, რომ სანამ დაიდებოდეს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან და გერმანია გაერთიანდებოდეს ერთიან სახელმწიფოდ, სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების მონაწილე, სხვა სახელმწიფოებთან ერთად, იყოს როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ისე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკაც და რომ მათ იმოქმედონ ამ სისტემის პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ ეს თათბირი დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას განახორციელებდა ევროპის მშვიდობის განსამტკიცებლად, თუ მისი მონაწილენი მიაღწევდნენ შესაბამის შეთანხმებას, რომელიც ევროპის კოლექტიური უშიშროების იდეის აღიარებაზე იქნებოდა დამყარებული. ამ მიზნით საბჭოთა დელეგაცია ამ თათბირის განსახილველად შემოაქვს შემდეგი წინადადება:

„ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ

1. საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მთავრობები ვალდებულებას კისრულობენ განაგრძონ ღონისძიებანი, რათა გერმანიის საკითხი გადაიჭრას დამაკმაყოფილებლად მშვიდობისა და ეროვნული თავისუფლების შენარჩუნების პრინციპების შესაბამისად, აგრეთვე დაცულ იქნას ევროპის ყველა იმ სხვა სახელმწიფოს უფლებანი, რომლებიც დაინტერესებული არიან იმით, რომ რომელიმე სახელმწიფომ არ დაუშვას მათი ეროვნული ინტერესებისა და უშიშროების დარღვევა.

2. სანამ დაიდებოდეს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან და გერმანია გაერთიანდებოდეს დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე, განხორციელდება შემდეგი ღონისძიებანი:

a) როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიის ტერიტორიიდან ერთსა და იმავე დროს, ექვსი თვის ვადაში გაყვანილ იქნებიან საოკუპაციო ჯარები, გარდა განსაზღვრული კონტინგენტებისა, რომლებიც რჩებიან დაცვის იმ ფუნქციების შესასრულებლად, რომლებიც გამომდინარეობს ოთხი სახელმწიფოს საკონტროლო ამოცანებიდან: სსრ კავშირისათვის — აღმოსავლეთ გერმანიის მიმართ, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთისათვის — დასავლეთ გერმანიის მიმართ.

ასეთი კონტინგენტების რიცხვის საკითხზე უნდა შეთანხმდნენ ოთხი სახელმწიფოს მთავრობები.

b) თუ გერმანიის ამა თუ იმ ნაწილში წარმოიშვა უშიშროების საფრთხე, იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ახლა საოკუპაციო ფუნქციებს ახორციელებენ გერმანიაში, უფლება ენიჭებათ შეიყვანონ თავიანთი ჯარები: სსრ კავშირმა — აღმოსავლეთ გერმანიაში და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა — დასავლეთ გერმანიაში.

c) შინაგანი წესრიგისა და საზღვრების დასაცავად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას ექნებათ პოლიციის ნაწილები, რომელთა რიცხვი და შეიარაღება უნდა დაწესდეს ოთხი სახელმწიფოს შეთანხმებით.

ამ შეთანხმების შესრულებისადმი მეთვალყურეობისათვის აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიაში იქმნება ინსპექტორთა ჯგუფები ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან.

3. ზემოაღნიშნულ დებულებათა შესაბამისად, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს გერმანიის ნეიტრალიზაციას და იმისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, რომ გერმანიის პრობლემა გადაიჭრას ევროპის მშვიდობის განმტკიცების სასარგებლოდ, ოთხი სახელმწიფო დაუყოვნებლივ განახორციელებს ღონისძიებებს, რათა ხელი შეუწყონ იმას, რომ ევროპის სახელმწიფოთა შორის დაიდოს ხელშეკრულება კოლექტიური უშიშროების შესახებ, ხელშეკრულება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შესაბამისი გარანტიები აგრესიის წინააღმდეგ და ევროპაში მშვიდობის დარღვევის წინააღმდეგ. ამ მიზნით ოთხი სახელმწიფო შეთანხმდა იკისრონ ევროპის სახელმწიფოთა შესაბამისი კონფერენციის მოწვევის ინიციატივა".

იმის შესაბამისად, რაც ნათქვამია დოკუმენტში, რომელიც ეს-ეს არის წავიკითხე, საბჭოთა დელეგაციას ამ თათბირის განსახილველად შემოაქვს პროექტი „სრულიად ევროპის ხელშეკრულებისა ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ".

აი ამ პროექტის შინაარსი:

„სრულიად ევროპის ხელშეკრულება ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ

(ძირითადი პრინციპები)

იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ მშვიდობა და უშიშროება და თავიდან აიცილონ აგრესია რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ ევროპაში,

იმ მიზნით, რომ განამტკიცონ საერთაშორისო თანამშრომლობა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის, აგრეთვე მათ საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების შესაბამისად,

ისწრაფვიან რა თავიდან აიცილონ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს დაჯგუფებების შექმნა ევროპის სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ, დაჯგუფებებისა, რომლებიც იწვევენ გამწვავებას და განხეთქილებას ქვეყნების ურთიერთობაში, და მიაღწიონ იმას, რომ ევროპის ყველა სახელმწიფო ახორციელებდეს შეთანხმებულ ღონისძიებებს ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში,

ევროპის სახელმწიფოები, ხელმძღვანელობენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებით და პრინციპებით, დებენ სრულიად ევროპის ხელშეკრულებას ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ შემდეგ საფუძვლებზე:

1. ხელშეკრულების მონაწილე, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მისი საზოგადოებრივი წყობილება, შეიძლება იყოს ევროპის ყველა სახელმწიფო, რომელიც აღიარებს მიზნებს და კისრულობს ვალდებულებებს, რომლებსაც ხელშეკრულება ითვალისწინებს.

სანამ შეიქმნებოდეს გერმანიის ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული სახელმწიფო, ხელშეკრულების თანასწორუფლებიანი მონაწილენი შეიძლება იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა. ამასთან ნაგულისხმევია, რომ გერმანიის გაერთიანების შემდეგ ხელშეკრულების მონაწილე შეიძლება გახდეს საერთო საფუძველზე გერმანიის ერთიანი სახელმწიფო.

ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ ხელშეკრულების დადება არ ზღუდავს ოთხი სახელმწიფოს — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის კომპეტენციას გერმანიის საკითხში, რომელიც უნდა მოწესრიგდეს ოთხი სახელმწიფოს მიერ წინათ დადგენილი წესით.

2. ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას თავი შეიკავონ ყოველგვარი თავდასხმისაგან ერთმანეთზე, ისევე როგორც თავიანთ საერთაშორისო ურთიერთობაში თავი შეიკავონ ძალით დამუქრებისა ან ძალის გამოყენებისაგან, და ყველა დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მათ შორის, გადაჭრან მშვიდობიანი საშუალებებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, ისე, რომ საფრთხეში არ ჩააგდონ საერთაშორისო მშვიდობა და ევროპის უშიშროება.

3. ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ყოველთვის, როცა, რომელიმე მათგანის აზრით, წარმოიშობა ევროპაში ხელშეკრულების მონაწილე ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმის საფრთხე, კონსულტაციას გაუწევენ ერთმანეთს იმ მიზნით, რომ განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრან ასეთი საფრთხე და დაიცვან ევროპის უშიშროება.

4. თუ რომელიმე სახელმწიფომ ან სახელმწიფოთა ჯგუფმა ევროპაში მოახდინა შეიარაღებული თავდასხმა ხელშეკრულების მონაწილე ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოზე, ეს მიჩნეულ იქნება თავდასხმად ხელშეკრულების ყველა მონაწილეზე. ასეთი თავდასხმის შემთხვევაში ხელშეკრულების თვითეული მონაწილე ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლების განხორციელების წესით, სახელმწიფოს ან სახელმწიფოებს, რომლებმაც ასეთი თავდასხმა განიცადეს, დახმარებას გაუწევს ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით, მათ შორის შეიარაღებული ძალის გამოყენებით, რათა აღადგინოს და დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და ევროპის უშიშროება.

5. ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას უმოკლეს ვადაში ერთობლივად განიხილონ და დაადგინონ წესი, რომელიც განსაზღვრავს, რა დახმარება, მათ შორის სამხედრო დახმარება, უნდა გაუწიონ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა, თუ ევროპაში შეიქმნა სიტუაცია, რომელიც მოითხოვს კოლექტიურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ევროპაში მშვიდობის აღდგენას და დაცვას.

6. ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები დაუყოვნებლივ გაუგზავნიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებათა შესაბამისად, ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მოქმედება განახორციელეს ან დასახეს თავდაცვის უფლების შესასრულებლად ან ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების დაცვის მიზნით.

7. ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას არ მიიღონ მონაწილეობა რაიმე კოალიციაში ან კავშირში და არ დადონ არავითარი შეთანხმება, რომლის მიზანი ეწინააღმდეგება ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ ხელშეკრულების მიზნებს.

8. ამ მიზნით, რომ განხორციელდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონსულტაციები ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს შორის და იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც წარმოიშობა ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულ იქნას:

a) პერიოდული და საჭირო შემთხვევებში სპეციალური თათბირები, რომლებზეც თვითეული სახელმწიფოს წარმომადგენლობას გასწევს მთავრობის წევრი ან სხვა განსაკუთრებით დანიშნული წარმომადგენელი;

b) მუდმივმოქმედი საკონსულტაციო პოლიტიკური კომიტეტის შექმნა, რომლის მოვალეობას უნდა შეადგენდეს მოუმზადოს შესაბამისი რეკომენდაციები ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობებს;

c) სამხედრო საკონსულტაციო ორგანოს შექმნა, რომლის რწმუნებანი დამატებით უნდა დაზუსტდეს.

9. მიაჩნიათ რა, რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ სახელმწიფოებს, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები სთხოვენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებს გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები როგორც მეთვალყურეები ორგანოებში, რომლებიც იქმნება ხელშეკრულების შესაბამისად.

10. ეს ხელშეკრულება ოდნავაც არ ასუსტებს იმ ვალდებულებათა ძალას, რომლებსაც შეიცავენ ევროპის ქვეყნების საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, რომელთა პრინციპები და მიზნები შეესაბამება ამ ხელშეკრულების პრინციპებსა და მიზნებს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 50 წელიწადი".

საბჭოთა დელეგაციას იმედი აქვს, რომ წინადადებებს, რომლებიც მან შემოიტანა, ეს თათბირი ჯეროვანი ყურადღებით განიხილავს.

ა. ს. გრიბოედოვის ხსოვნას

საქართველოს საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა დიდი რუსი მწერლისა და დრამატურგის ა. ს. გრიბოედოვის დაღუპვის 125 წლისთავი.

11 თებერვალს მთაწმინდაზე, საზოგადო და ლიტერატურულ მოღვაწეთა პანთეონში მწერლის საფლავზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველმა მდივანმა ი. აბაშიძემ. იგი შეეხო მგზნებარე პატრიოტის — გრიბოედოვის შემოქმედებით მოღვაწეობას, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს სამსახურს მოახმარა. სტალინური პრემიის ლაურეატმა პოეტმა გ. ლეონიძემ, კრიტიკოსმა ბ. ჟღენტმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ ილაპარაკეს რუსი და ქართველი ხალხების მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაში გრიბოედოვის როლზე, მისი უკვდავი კომედიის „ვაი ჭკუისაგან" მნიშვნელობაზე, კომედიისა, რომელმაც თვალსაჩინო ადგილი დაიკავა რუსული თეატრის ისტორიაში.

გენიალური რუსი მწერლისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტმა ს. ფაშალიშვილმა და გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობმა ი. რუსინოვმა.

ა. ს. გრიბოედოვის საფლავი გვირგვინებით შეამკეს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის, თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის და ქალაქის მთელი რიგი სკოლების მოსწავლეთა წარმომადგენლებმა.

საღამოთი გრიბოედოვის სახელობის თეატრში გაიმართა მწერლის ხსოვნის საღამო. ა. ს. გრიბოედოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა კრიტიკოსმა გ. მარგველაშვილმა.

საღამოს დასასრულს თეატრის კოლექტივმა უჩვენა თავისი ახალი სპექტაკლი „ვაი ჭკუისაგან". (საქტაგი).

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. რ. გ. შანიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

ამხ. ა. ს. ხუჯაძე საქართველოს სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მინისტრის მოადგილედ კადრების დარგში.

ამხ. დ. ნ. მახარაშვილი საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილედ კადრების დარგში. (საქტაგი).

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

12 თებერვალს	ახალი საბავშვო სპექტაკლი ა. ანდრიაშვილი — **ჩხიკვთა ქორწილი**
13 თებერვალს	ჟ. ბიზე — **კარმენი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია

რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში

პარასკევს, 12 თებერვალს

ახალგაზრდობის მე-4 მსოფლიო ფესტივალის ლაურეატის საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის

კონცერტი

სახალხო არტისტების, სტალინური პრემიის ლაურეატების **ნინო რამიშვილის და ილიკო სუხიშვილის**

ხელმძღვანელობით და მონაწილეობით

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ბილეთები იყიდება.

შვილი ვანო, რძლები თამარ, მარო, შვილიშვილები ალექსანდრე, ნინო, ლიო, ჯონდო, ელენე, სიძე შალვა ნიჟარაძე იუწყებიან მატრონა რომანოზის ასულ ფარქოსაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-II საჩხერეში.

დედა ელპიტი, დედამთილი მაშო, მეუღლე ვალოდია, შვილები ავთანდილ, დალი, მაზლი ევგენი, რძალი ნინო იუწყებიან სერაფიმა მაკარის ასულ ფრუიძე-ყიფიანის გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-II, 8 ს. გამოსვენება 14-II, 3 ს. ზასულიჩის ქ. № 31.

დები მინადორა, კამა, ძმა ხარიტონ, რძლები ანასტასია, ოლია, სიძე ბაგრატ ანჯაფარიძე შვილებით იუწყებიან ევდოსი ანტონის ასულ ჟვანია-კუტალიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-II სოფ. ხეთაში (ხობის რ.).

მეუღლე ნატალია, შვილები კალენიკე, არკადი, შუშანა, თამარ, რძლები ნინო, თინა, სიძე ო. სირბილაძე და შვილიშვილები იუწყებიან ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე ქარქაშაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-II სოფ. ლვანკითში (თერჯოლის რ.).

შვილები ელისაბედ, სანდრო, რძალი ლუბა სურგულაძე, შვილიშვილი ოლისო იუწყებიან მარიამ იორდანეს ასულ ოქრუაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-II, 8 ს. გამოსვენება 14-II, 2 ს. კავშირის ქ. № 1.

ბიცოლა თეოლინე, ბიძაშვილები ვერა, ელენე, აკაკი, ვალერიან, პლატონ, რძლები ნინო, თამარ, ქეთო შვილებით, ქვისლი პარმენ, ცოლისდა ქრისტინე ომიაძეები, იუწყებიან ალექსანდრე ომიაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-II, 8 ს. ჩაიკოვსკის ქ. № 5.

დედა ფოტინე, მეუღლე ეკატერინე. შვილები ვიქტორია, ვლადიმერ, დები აგრაფინა, ქენია, ჩიტო, სიძეები ა. კოლუა, ა. ეჯიბაძე იუწყებიან ვიქტორ დიმიტრის-ძე კვიტაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-II, 8 ს. გამოსვენება 14-II, 2 ს. ჰონქაძის ქ. № 12.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვისა და სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 00932

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი"